„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი • №3-4 (9499-9500) • 1-28 თებერვალი • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სამუშაო შეხვედრა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულს მალხაზ თორიას შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი, თხილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე გიორგი თოდუა ესწრებოდნენ, განხილულ იქნა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები.

გიორგი ხანიშვილმა მუნიციპალიტეტების მერებისგან მოისმინა ინფორმაცია რეგიონში არსებული ვითარების შესახებ და ხაზი გაუსვა ღონისძიებების გატარების პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელობას.

„ადგილობრივი ხელისუფლება მჭიდროდ ითანამშრომლებს სამინისტროსთან, რომ ფერმერებმა კვლავაც მაღალი ხარისხის მოსავალი მიიღონ" - აღნიშნა შეხვედრაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა მალხაზ თორიამ.

საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების მშენებლობის პროცესი

სენაკის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობის პროცესი.

ამ ეტაპზე შენდება ორი სააღმზრდელო დაწესებულება.

ასევე იგეგმება ორი საბავშვო და ბაგა-ბაღის მშენებლობა.

ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება N4 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება 100 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტი ლტოლვილთა დანიის საბჭოსა (DRC) და საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება.

ამავე პროექტის ფარგლებში, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღს.

დასრულების ეტაპზეა მეხუთე ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი აწარმოებს.

გამოცხადდა ტენდერი N3 ბაგა-ბაღის მშენებლობაზე, რომლის დასრულების შემდეგ დაიწყება მასშტაბურ სამუშაოები.

ასევე იგეგმება N7 საბავშვო ბაღის მშენებლობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი

სენაკის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის საგუგუნავოს უბანში, ხიდამდე მისასვლელ გზაზე ხორციელდება ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები

პროექტის ღირებულება 83 887 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „აფო" აწარმოებს.

ასევე იგეგმება: დემეტრე თავდადებულის; ბელიაშვილის; ნაფეტვარიძის ქუჩების; სახოკიას ქუჩიდან შხეფის ციხემდე მისასვლელი გზისა და მოედნის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობას; კანკიას ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია;

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობასა და საბავშვო ბაღამდე გზის ასფალტირებას;

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, რკინიგზის გასწვრივ საავტომობილო გზის ასფალტირება;

ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ზემო სორტის უბნის ქვედა მხარის გზის რეაბილიტაცია;

სოფელ მეორე ნოსირის საბარკალაიოს უბნის გზის ასფალტირება;

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულიდან მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბათარიასკენ მიმავალი გზის ასფალტირება;

ჭავჭავაძის ქუჩაზე, სამხატვრო გალერეადან ხორავას ქუჩამდე მისასვლელი გზისა და ხორავას ქუჩის რეაბილიტაცია;

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას და მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაციის მიზნით ინფრასტრუქტურული პროექტების აქტიურად განხორციელება ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

სენაკის მუნიციპალიტეტში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს ქალაქ სენაკის N3 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მინი სპორტული მოედნის, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლის მინი სპორტული მოედნისა და დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

პროექტის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი გაეცნენ.

ამ ეტაპზე, ჭავჭავაძის ქუჩის N35 და რუსთაველის ქუჩის N126 კორპუსების მიმდებარედ, მიმდინარეობს მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;

ასევე, სასპორტო სკოლის სპორტული დარბაზისა და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

პროექტს, რომლის ღირებულება 122 800 ლარს შეადგენს, რეგიონალური განვითარების ფონდი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში ახორციელებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის მერობის პერიოდში, ასევე მოეწყო 6 მინი-სპორტული მოედანი:

2019 წელს რეაბილიტირდა ჭყონდიდელის ქუჩაზე, მექანიკურის დასახლებაში, მეშვიდე საჯარო სკოლისა და ჟიული შარტავას სახელობის პარკში მდებარე მინი-სპორტული მოედნები;

2020 წელს დასრულდა ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებასა და მშვიდობის ქუჩის N223-ში მდებარე სპორტული მოედნების მშენებლობა.

აშენდა 2 საკალათბურთო მოედანი:

მსოფლიო დონის კალათბურთელის, სენაკის საპატიო მოქალაქის, ზაზა ფაჩულიას ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანია „გალფის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2020 წელს დასრულდა ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მშენებლობა;

2020 წელს, იუსტიციის სახლის მიმდებარედ, მოეწყო კალათბურთის მოედანი.

რეაბილიტირდა, ბუნებრივი აირით და გათბობის სისტემით უზრუნველყოფილ იქნა სენაკის სასპორტო სკოლა, ძიუდოსა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დარბაზები; კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები; ასევე სენაკის ცენტრალურ სტადიონს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ახალსოფელს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა შეემატება

სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრციულ ერთეულში ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოებს ვახორციელებთ.

აღნიშნული საკითხი ადგილობრივებთან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე წამოიჭრა.

მოსახლეობას პრობლემის მოგვარებას დავპირდით.

უახლოეს პერიოდში, სოფელს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა და რეაბილიტირებული სამკითხველო დარბაზი შეემატება.

პროექტს, რომლის ღირებულება 13 997 ლარს შეადგენს, ინდ. მეწარმე „გამზა როყვა" ახორციელებს.

ბოლო წლების განმავლობაში, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, აქ არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ:

გაზიფიცირდა ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული;

მოვაწესრიგეთ საგზაო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი;

ჩავატარეთ მასშტაბური ნაპირსამაგრი და სამელიორაციო სამუშაოები;

მოვაწყვეთ გარე განათების სისტემა;

ბოლო 2 წლის მაძილზე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, 17 ინფრასტრუქტული პროექტი განვახორციელეთ.

მოსაგვარებელი საკითხები ჯერ კიდევ არსებობს, რასაც ეტაპობრივად გადავწყვეტთ.

მოსახლეობისთვის პრობლემების დროული მოგვარება ჩვენი საქმიანობის უმთავრესი წარმმართველია.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

პროფესიონალიზმი და მოსწავლეთა სიყვარული - „პელაგონის" სავიზიტო ბარათი

სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე „ძლიერი იარაღი" რაც შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს ცოდნაა. განათლება ჩვენი ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია. ხოლო იმისათვის, რომ კარგი და საფუძვლიანი განათლება მივაღებინოთ ჩვენს შვილებს აუცილებელია ვასწავლოთ სკოლაში, სადაც პროფესიონალი პედაგოგები და ჯანსაღი გარემოა.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ სკოლაზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება.

სკოლა „პელაგონი" არსებობის 11 წელს ითვლის და ჩვენი ქალაქის კერძო სკოლათა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს. იმისათვის, რომ კარგად გავცნობოდით ამ პატარა, მაგრამ ოჯახური სითბოთი და სიყვარულით სავსე ცოდნის კერას, რამდენიმე კითხვით მივმართეთ სკოლის დირექტორს, ქალბატონ კესო ვახანიას და სასწავლო ნაწილს ქალბატონ ნანა ბარკალაიას.

თუ შეგიძლით გვითხარით რამდენი წელია, რაც კერძო სკოლა „პელაგონი" არსებობს და ორიოდე სიტყვა სკოლის შექმნის ისტორიაზე?

ნებისმიერი სენაკელისთვის ქალბატონი რუსუდან ურიდიას სახელი საგანმანათლებლო სფეროსთან ასოცირდება, სასკოლო ცხოვრებაზე და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებულმა ქალბატონმა, მას შემდეგ რაც საჯარო სამსახურიდან წამოვიდა, 2009 წელს საკუთარი კერძო სკოლა დაარსა. საუკეთესო გუნდი შემოიკრიბა და მათთან ერთად ჩაუყარა საფუძველი ამ პატარა ცოდნის კერას. „პელაგონი" არის ადგილი, სადაც თითოეული მოსწავლე ოჯახურ გარემოში გრძნობს თავს და ხელს უწყობს მათ მრავალმხრივ ინტელექტუალურ განვითარებას. სკოლამ სახელოვანი სტარტი აიღო, 2010 წელს ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადაში მიღებული საუკეთესო შედეგებისათვის განათლების სამინისტრომ იგი 3000 ლარით დააჯილდოვა. გარდა ამისა სკოლაში გვყავს პროექტ „ეტალონის" სამეგრელოს რეგიონის გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული არაფორმალური განათლების სხვადასხვა პროექტებში.

რა შეგიძლიათ გვითხრათ კოლექტივის შესახებ. რამდენად კვალიფიციური პედაგოგები გყავთ, მათ შორის თუ არიან სტატუსიანი პედაგოგები?

სკოლაში საგანმანათლებო პროცესს წარმართავენ მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილებისა და მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები, რომელთაგან უმრავლესობას მინიჭებული აქვს უფროსის სტატუსი, გვყავს წამყვანი მასწავლებელიც. სკოლა ზრუნავს და ხელს უწყობს მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა პედაგოგებს საშუალებას აძლევს ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით დაგეგმონ გაკვეთილი.

პანდემიამ შეცვალა რეალობა ყველა სფეროში, მათ შორის რა თქმა უნდა სკოლებშიც. იყო პერიოდი, როდესაც სწავლა დისტანციურად მიმდინარეობდა. რამდენად გაამართლა დისტანციურმა სწავლებამ. იყო თუ არა ამ მხრივ რამე პრობლემა?

მსოფლიო პანდემიამ მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა სულ სხვა რეჟიმში გადაიყვანა. 2019-2020 წელი დისტანციური ფორმატით დავასრულეთ. ეს სერიოზული გამოწვევა იყო სასკოლო საზოგადოებისათვის, ბევრი რამის სწავლა მოუხდათ მასწავლებლებს, პრობლემებმაც იჩინა თავი: შესაბამისი ტექნიკის და ინტერნეტის არქონა. ტექნოლოგიებთან მუშაობისა და მათი სასწავლო რესურსად გამოყენების უნარ-ჩვევების არქონა. 2020-2021 სასწავლო წელს ამ მხრივ სკოლა უფრო მომზადებული შეხვდა. თუმცა დისტანციური სწავლების დადებითი მხარეებიც შეიძლება გამოვყოთ. მასწავლებლებს მეტი საშუალება მიეცათ მოეძიათ და გამოეყენებინათ საინტერესო ელექტრონული რესურსები.

რაც შეეხება სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. რა ინტენსივობით მიმდინარეობს ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა. უტარდებათ თუ არა გეგმიური ტესტირებები პედაგოგებს?

სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ გაიარა სრული შემოწმება შესაბამისი ორგანოების მხრიდან და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცა სასწავლო პროცესის დაწყების უფლება. სწავლა და სწავლების პროცესი რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობს. სკოლაში მკაცრად კონტროლდება მოსწავლეების დისტანციური გადაადგილება. გარდა ამისა რეგულარულად ხდება სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, საკლასო ოთახების განიავება, სპეციალური ხსნარებით მუშავდება ზედაპირები. რათქმაუნდა პედაგოგებს უტარდებათ გეგმიური ტესტირებები ორკვირიანი შუალედით, რაც ხელს უწყობს ვირუსის გავრცელების პრევენციას.

რამდენიმე კვირის წინ სკოლაში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევა. რა ზომები გატარდა და რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

სამწუხაროდ ვერც ჩვენი სკოლა ვერ გადაურჩა ამ ინფექციას და 3 თებერვალს დაფიქსირდა კორონავირუსის რამდენიმე შემთხვევა (დაწყებით საფეხურზე ერთი მასწავლებელი და ოთხი მოსწავლე). სწორედ ამის საფუძველზე სკოლამ წერილობით მიმართა ადგილობრივ რესურსცენტრს და 3 თებერვლიდან 17 თებერვლამდე სწავლების ჰიბრიდულ მოდელზე გადავიდა. 17 თებერვლიდან კი სკოლა აგრძელებს დასწრებით რეჟიმით სწავლებას.

ძალიან დიდი იმედი გვაქვს ეპიდსიტუაცია ქვეყანაში უკეთესობისკენ შეიცვლება და საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესი საფრთხის ქვეშ აღარ დადგება.

ყველა სასწავლო დაწესებულების პრიორიტეტი აუცილებლად უნდა იყოს მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მათი ჯანმრთელობა. სამწუხაროდ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ის ფაქტი, რომ უნდა ვისწავლოთ ვირუსთან ერთად თანაცხოვრება. იმედია ეს მძიმე პერიოდი მალე დამთავრდება და შევძლებთ ყველაფრის ღირსეულად გადალახვას.

რედაქცია სკოლა „პელაგონის" პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს უსურვებს ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. არაერთხელ ესახელებინოთ მათ ჩვენი ქალაქი და საქართველო.

მოამზადა

მარიკა მიქაბერიძემ





სენაკელობა არის გზა, საშუალება სიკეთის კეთებისა

ჩვენი ნომრის სტუმარს ბატონ მამუკა კუჭავას ჩვენი მუნიციპალიტეტის განათლების სფერო კარგად იცნობს. სენაკის №1 საჯარო სკოლის ხაზვა-ხელოვნების უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიური მოღვაწეობის არაერთ წელს ითვლის და შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმაოდ წარმატებული მასწავლებელია.

თუ მის მრავალფეროვან ბიოგრაფიას გადავავლებთ თვალს, იგი უდაოდ განათლებული და პრაქტიკულად მომზადებული უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგია.

ბატონი მამუკა დაიბადა 1970 წელს ქალაქ სენაკში. სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტზე. მას აგრეთვე დამთავრებული აქვს სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი და სპეციალობით არის სამართლმცოდნე. 2006 წლიდან 2020 წლის ჩათვლით სხვადასხვა სფეროში მიღებული აქვს უამრავი სერთიფიკატი.

იგი ამ წლების მანძილზე აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო და პედაგოგიურ საქმიანობაში და შესაბამისად გამოცდილებაც დააგროვა.

1995 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში ლექტორად უფროსი მასწავლებლის პოზიციაზე (ხატვა და ხატვის სწავლების მეთოდიკა). პარალელურად 1996 წლიდან დღემდე ქალაქ სენაკის №1 საჯარო სკოლის ხაზვა-ხელოვნების მასწავლებლად. სტატუსით უფროსი მასწავლებელი.

გარდა პედაგოგიური საქმიანობისა 2017 წლიდან არის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერებათა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ) რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ხოლო, 2009-2014 წლებში იყო საქრთველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალის ხელმძღვანელი და ბოლოს თავმჯდომარე.

ჩვენ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ: რა ინოვაციურ ხერხებს იყენებს სწავლებაში, რა სახის საგანმანათლებლო პროექტებში არის ჩართული, როგორია მისი დამოკიდებულება დისტანციური სწავლებისადმი, რა პრიორიტეტულ მიმართულებებს ახორციელებს, როგორც განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე, როგორია მისი სამომავლო გეგმები?

გთავაზობთ საუბრის შინაარსს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების პროცესში წამყვანი ადგილი მოსწავლეზე ორიენტირებულ ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინებას უჭირავს. მოსწავლე ცოდნას აგებს საკუთარ გამოცდილებაზე, არის სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე, აქვს არჩევანის თავისუფლება და შეუძლია საკუთარი აზრის თამამად გამოხატვა.

ჩვენი სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“, რაც თავისთავად ცხადყოფს საგნის სწავლებაში ინოვაციურ მიდგომას. სასწავლო პროცესი მთლიანად გათვლილია შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. მოსწავლე შემოქმედებითად ერთვება სასწავლო პროცესში და ხშირად თავადაც ხდება ამა თუ იმ აქტივობის წარმმართველი: ხატავს, ძერწავს, ქმნის ილუსტრაციებს, სათამაშოებს, ფერებსა და ფორმებს ირჩევს საკუთარი სურვილით, ჩანაფიქრით ასრულებს პრაქტიკულ დავალებას. მსგავსი აქტივობები შემოქმედებითობასთან ერთად მათ უვითარებს ისეთ სოციალურ უნარებს, როგორიცაა არჩევანის თავისუფლება, სხვისი აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა... ასევე აკვირდებიან, ეცნობიან ელექტრონულ ლინკებს და შემოქმედებას. გამოთქვამენ მოსაზრებებს, ვარაუდებს, შეხედულებებს. უვითარდებათ ანალიზისა და შეფასების უნარი.

მოგეხსენებათ ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის მომავალია... მე მათთან ურთიერთობით ვსულდგმულობ, მომწონს მათი აზროვნების თავისუფლება, გამბედაობა, უყვართ სტერეოტიპების მსხვრევა. ეს მახარებს, გული მწყდება იმაზე, რომ ისინი არ არიან ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შვილები. მათ უკეთესი გარემო სჭირდებათ სულიერი და ფიზიკური განვითრებისთვის.

რაც შეეხება პროექტს, ჩვენი სკოლა ადრეც იყო ჩართული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიციით“ ქვეპროგრამაში. პროგრამის კოორდინატორი გახლავთ ჩვენი სკოლის ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგი ელისო შურღაია. ვთანამშრომლობდი ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლის აღსაზრდელებთან. დიდი პასუხისმგებლობაა კონკურსში მონაწილეობა.

მიმდინარე საგმანმანათლებლო პროექტის მიზანია სენაკის თემში მცხოვრები ბოშა და ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის დაახლოება. სათემო ბენეფიციარებისა და საჯარო სკოლის მოსწავლეების გაერთიანება. ერთი იდეის და მიზნის ირგვლივ. ამჯერად არჩეულ ჯგუფთანაც მუშაობა დიდი გამოწვევაა ჩვენი მოსწავლეებისათვის. გვჯერა რომ მათში გაიზრდება სხვისი დახმარებისა და თანამშრომლობის სურვილი.

პარალელურად მიწევს სხვა პროექტებზეც მუშაობა, სკოლის გარემოსდაცვითი გუნდი „ეკოპი“ მეექვსე წელია ჩართულია ნიკო კეცხოველის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ სასკოლო კონკურსებში. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტულია ჩვენთვის. აღნიშნულ კონკურსში მიღწეული წარმატებებისთვის სკოლას მიენიჭა „მწვანე სკოლის“ სტატუსი.

2015-2016 წლებში განათლებისა და განვიათარების ცენტრის „ცოდნის სამყაროს“ ,მიერ გამოცხადებულ ხელოვნების თეორიულ კონკურსებში, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისთვის და წარმატებული მონაწილეობისათვის დავიმსახურე მადლობის ფურცელი, მათ შორის სრულიად საქართველოს მასშტაბით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში „წლის საუკეთესო პედაგოგს“ გადმომეცა სამდღიანი საგზური აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, სადაც ვიმყოფებოდი სენაკის №1 საჯარო სკოლის გამარჯვებულ მონაწილეებთან და სკოლის დირექტორთან ერთად, ხოლო 2016-2017 სასწავლო წელს იგივე პროექტით, ოქტომბრის თვეში გავემგზავრეთ თურქეთში, კერძოდ კაბადოკიაში 5 დღიანი ტურით.

2020 წელი ყველა სფეროსთვის და განსაკუთრებით ალბათ მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის იყო ურთულესი. პანდემიამ შეცვალა ჩვენი დღის წესრიგი და გავხდით მეტად დამოკიდებული ონლაინ სივრცეზე.

მინდა ვთქვა, რომ რეალურ საკლასო ოთახს ვერასოდეს აჯობებს ონლაინ სივრცე, მაგრამ ლავირება, უცებ მორგება შექმნილ სიტუაციაზე და ვირტუალური სივრცის მაქსიმალურად გამოყენება ბავშვების სასარგებლოდ ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. რათქმაუნდა თავდაპირველად თავად შევისწავლე ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენება, შექმნა. ონლაინ სასწავლო გარემომ დამანახა, თუ როგორ უნდა წარვმართო ბავშვებთან მუშაობა.

რაც შეეხება პრობლემას, დასაწყისში იყო მიუწვდომლობა ინტერნეტზე. სამწუხაროდ ყველა მშობელი ვერ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული.

გარდა პედაგოგიური საქმიანობისა 2017 წლიდან ვხელმძღვანელობ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერებათა თავისუფალი პროფკავშირის (სმპთპ) რაიონულ ორგანიზაციას. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ორგანიზაციის აღდგენასა და ხელახალ გაწევრიანებაზე დიდი შრომა გასწია ყოფილმა თავმჯდომარემ ქალბატონმა დარეჯან ზარანდიამ, რომელიც ნებისმიერი ჩვენი განხორციელებული საქმიანობის ერთგული მხარდამჭერია.

ამჯამად ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 570 დასაქმებული ადამიანი. გვაქვს 24 პირველადი ორგანიზაცია. წევრთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერებათა თავისუფალი პროფკავშირი არის კოლეგიალური ორგანო, სადაც ერთი პროფესიის ქვეშ ნებაყოფლობით გაერთიანებული საზოგადოება წყვეტს ამ სისტემაში წარმოქმნილ საჭირობოროტო საკითხებს, იცავს კანონით მინიჭებულ უფლებებს.

რაც შეეხება პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელსაც ვახორციელებთ: მუდმივი ზრუნვა სენაკის რაიონში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპმთპ-ის წევრ დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების და ინტერესების დაცვისთვის; პერმანენტული თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან, სპმთპ წევრთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

სპმთპ-ის წევრი წარმატებულ და ღვაწლმოსილ პედაგოგთა მიმართ სითბოსა და ყურადღების გამოჩენა.

პროფკავშირული საქმიანობის პროპაგანდის მიზნით რაიონის ფართომასშტაბიან ღონისძიებებში ჩართვა; წევრთა წამახალისებელი ღონისძიებების მოწყობა, მათ შორის ექსკურსიები, ერთჯერადი დახმარების გაწევა და სხვა;

მუდმივი ზრუნვა პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე, მჭიდრო თანამშრომლობა სპმთპ-ის „საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრთან“

ნებაყოფლობითი პრინციპის დაცვით მუდმივი მუშაობა წევრთა მოზიდვისა და მიმაგრების მიმართულებით.

ადგილობრივი ორგანიზაციის დემოკრატიული მართვის პრინციპების სრულყოფისათვის, აქტიური თანამშრომლობა სპმთპ-ის ცენტრალურ აპარატთან.

ჩვენი ორგანიზაცია ფეხდაფეხ მისდევს განათლების სფეროში არსებულ ახალ გამოწვევებს. აქედან გამომდინარე ჩვენი საქმიანობაც მრავალფეროვანია. ვგეგმავთ და ორიენტირებული ვართ, პროფწევრი მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე, კარიერულ წინსვლაზე და მუდმივი მზადყოფნა მათი შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და სამართლებრივ ინტერესების დასაცავად.

სპმთპ -- მასწავლებლის მეგობარია, ჭირისა და ლხინის გამზიარებელია, იბრძვის მოქმედებს, რკინის ქალამნებსაც კი მოირგებს და ყველაფაერს გააკეთებს მათ დასაცავად. მინდა რომ მასწავლებელს აბედნიერებდეს თავისი საქმე...

მოტივაციას ყოველთვის მაძლევს დიდი პასუხისმგებლობა და საქმის სიყვარული. ამჟამდ მოკლედ გავიხსენებ (მაქსიმალურად თავშეკავებული ვიქნები) იმ საქმიანობებს, რომელსაც ვახორციელებდი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალში. პირველი რაც გაცნობიერებული მქონდა, უნდა ვყოფილიყავი საქმის ერთგული მოხალისე. 2009-2014 წლებში პროექტების განხორციელება სიახლე გახლდათ. მყავდა ძალიან ძლიერი მოხალისეთა გუნდი, რომლებთანაც ერთად იწერებოდა პროექტები და წითელი ჯვრის საზოგადოების სათაო აპარატის თამანშრომლების მხარდაჭერით ხდებოდა დონორების მოძიება და დაფინანსება.

ვფიქრობ არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი მინიპროექტი ხორციელდებოდა, სიცოცხლე ჩქეფდა... სენაკი პატარა კოლორიტული ქალაქია, ნებისმიერ აქტივობას გამოხმაურება ჰქონდა. დღესაც მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ყოველთვის ჩვენს გვერდით იყვნენ. ჩვენი პროექტები მიმართული იყო მოწყვლად ჯგუფებზე. გამოვყოფ მხოლოდ „ხანდაზმულთა დღის ცენტრს“, სადაც ჩართული იყო 55-მდე ბენეფიციარი (ძირითადად მარტოხელა ბებია და ბაბუა) და 40 მოხალისე, მათთვის გაწერილი გვქონდა სხვადასხვა აქტივობები და სერვისები. ბევრ მათგანს დღესაც ვხვდები, იხსენებენ იქ გატარებულ წუთებს. მე რაც მახარებს შეხვედრისას მათი მხრიდან მიღებული სითბო და ლამაზი სიტყვებია. ბებიები და ბაბუები, ეს ის თაობაა, რომელთაც მუდმივი ყურადღება და პატივისცემა სჭირდება. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენც დავბერდებით.

ჩემთვის სენაკელობა არის გზა, საშუალება სიკეთის ქმნისა და თანადგომისა, როცა ადამიანს ეიმედები, დიდ ძალას, პასუხისმგებლობასა და სიხარულს გრძნობ.

პიროვნების აღზრდასა და ჰარმონიულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის ხელოვნებასთან ზიარება. ყოველ გაკვეთილზე მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ახალი, დავუტოვოთ საფიქრალი. დაუკავშიროს ყოველი გაკვეთილი ცხოვრებას. სწორედ ჩემი სამომავლო გეგმაც ისაა, რომ მოსწავლეს განუვითარო სამყაროს მშვენიერების აღქმის უნარი, წარმოსახვის, შემოქმედებითობის, თვითგამოხატვის, კრიტიკული აზროვნების უნარები. გავუღვივო აღმოჩენისა და სიახლის ძიების სურვილი, რაც აუცილებელია მოსწავლის ნებისმიერი მომავლი საქმიანობისათვის და მოვამზადო ცხოვრებისეული გამოწვევებისათვის. ამავდროულად ხელი შევუწყო ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

დასასრულს კი ვიტყვი, ნებისმიერი ჩემი მთავარი მიღწევა ბავშვების სიყვარულია. ბედნიერებაა, როცა ჩემი მოსწავლეები, წლების შემდეგ ცხოვრების უღელში შებმულნი, არ მივიწყებენ და მეგობრად მთვლიან.

ჩემი ცხოვრება გამოწვევებითაა სავსე, მე ვარ სამი შვილის მამა, და ჩემი უპირველესი მოვალეობაა შვილები და (მომავალი თაობა) ჯანმრთელად მყავდეს, მივცე მათ ნორმალური პირობები სულისა და სხეულის წვრთნისა და თუ ეს შევძელი ნიშნავს იმას, რომ დასახულ გეგმებს და გამოწვევებს თავი კარგად გავართვი.

ბატონ მამუკას ვუსურვებთ ჯანმრთელობას. დასახული მიზნებისა და სურვილების წარმატებით განხორციელებას.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

ყველა როლში ბოლომდე ვიხარჯები

2021 წლის თებერვალს ,,რუსთავის 2-"ის ეთერში გავიდა დიტო ცინცაძის ფილმი ,,შინდისი". ფილმი რეალურ ამბავზეა დაფუძნებული. რომელიც 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისში განვითარდა, მაშინ, როდესაც საქართველოს მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეულს რუსეთის 58-ე არმიის





მოტომსროლელთა ასეული დაესხა თავს. უთანასწორო ბრძოლაში რუსული საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა 17 ქართველი სამხედრო მოკლეს. სწორედ ეს ისტორია გახდა რეჟისორის შთაგონების წყარო. ფილმი ასევე გვიამბობს დასახლება შინდისის მაცხოვრებლების თავგანწირვასა და ადამიანურ ტრაგედიებზე. ფილმისთვის სცენარი ირაკლი სოლომონაშვილმა დაწერა. მონაწილეობას ღებულობდნენ მსახიობები: გოგა პიპინაშვილი, დათო ბახტაძე, თამუნა აბშილავა, მარიამ ჯიბლაძე...

,,შინდისი" არაერთი ჯილდოს მფლობელია. ფილმი ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა და ფესტივალის გრან პრი მიიღო, ხოლო დიტო ცინცაძე დაჯილდოვდა საუკეთესო რეჟისორის პრიზით, ჰოლივუდში, აზიური ფილმების მსოფლიო ფესტივალზე, რეჟისორ დიმიტრი ცინცაძეს საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადასცეს. 2019 წელს ფილმმა მონაწილეობა მიიღო შანხაის საერთაშორისო ფესტივალში. საქართველოს კინოცენტრმა ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოვების 92-ე ცერემონიალზე, საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის (იგივე უცხოენოვანი ფილმის) კატეგორიაში წარსადგენად შეარჩია.

ჩვენი სტუმარია ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი თამუნა აბშილავა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ნიჭიერი და პერსპექტიული მსახიობი. თამუნა დაიბადა ქობულეთში, სწავლობდა ჯვარის №2 საშუალო სკოლაში. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. ახალგაზრდა მსახიობს არაერთი მთავარი როლი აქვს შერულებული თეატრის სცენაზე, მონაწილეობს სატელევიზიო სერიალში ,,ჩვენი ცოლის დაქალები".

ქალბატონო თამუნა, პირველ რიგში გილოცავთ წარმატებულ როლს, ქართული თეატრის დღეს, თეატრის იუბილეს. რატომ აირჩიეთ მსახიობის პროფესია?

მადლობთ, მსახიობობა ბავშვობიდანვე მომწონდა. ზუსტად არ მახსოვს როდის გადავწყვიტე, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. თუმცა სხვა არცერთ პროფესიაზე არ მიფიქრია. როგორც კი ვიგემე ,,სცენის მტვერი", მივხვდი, რომ ეს იყო საქმე, რაც სიცოცხლის ბოლომდე უნდა გამეკეთებინა. მსახიობობა ეს უზარმაზარი თავისუფლებაა. სცენაზე შეგიძლია იყო ის ვინც გინდა. აი მოგვიანებით კი დავფიქრდი ექიმობაზე, მსახიობი რომ არ ვყოფილიყავი მსახიობი, ვიქნებოდი ექიმი. ვთვლი, რომ ნებისმიერი პროფესია მოითხოვს გარკვეულ ცოდნას, უნარებს და მომზადებას, პირველ რიგში უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც აკეთებ და თუ არ იშრომე, მაშინ არც პოპულარობა მოვა და ვერაფერსაც მიაღწევ.

თქვენს მიერ შესრულებული პირველი როლი. როგორი იყო სცენაზე გამოსვლის პირველი შთაბეჭდილება?

პირველი სპექტაკლი თეატრალურ ინსტიტუტში, პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც შევასრულე Nნატალია ჩუბუკოვას როლი ანტონ ჩეხოვის პიესაში ,,ხელის თხოვნა". პირველი შთაბეჭდილება და სიამოვნება სწორედ ამ როლთანაა დაკავშირებული. ძალიან დიდი ხიბლი აქვს პროფესიას, ცოცხალია და ცვალებადი. ცხოვრებაა ერთი სიტყვით, სხვადასხვა ფერით და ემოციით. მრავალფეროვანია არტისტის პროფესია და აზარტულიც.

თქვენ შეასრულეთ ერთ-ერთი მთავარი როლი რეჟისორ დიტო ცინცაძის ფილმში ,,შინდისი". როგორ მოხვდით ფილმში, რამდენად რთული იყო გადაღების პროცესი.

ფილმში მოსახვედრად გავიარე ქასთინგი. სამჯერ ვიყავი ...ფიქრობდნენ და მოიფიქრეს. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქასთინგის დირექტორს ეკა მჟავანაძეს, რეჟისორ დიტო ცინცაძეს, მარინა კულუმბეკაშვილს, არ მინდა ვინმე გამომრჩეს, მთელ გადამღებს ჯგუფს, მსახიობებს, ჩემს პარტნიორს გოგა პიპინაშვილს.

ფილმში შეულამაზებლად, რომანტიზებისა და გადაჭარბებული დრამატიზების გარეშეა ნაჩვენები ნამდვილი ამბავი გმირებზე, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის ქარცეცხლში მოხვდნენ. ეს იყო ძალიან მძიმე და საფრთხილო, მტკივნეული თემა. შემიძლია ვთქვა,რომ ყველა ვინც კი დაკავებული იყო ფილმში დიდი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით აკეთებდა თავის საქმეს. გადაღების პროცესი იყო საკმაოდ რთული, ვიტყოდი მძიმეც, მაგრამ ამავე დროს კომფორტულიც. ალბათ წლები დამჭირდება იმის გასააზრებლად, თუ რა გამოცდილება მომცა ფილმში მონაწილეობამ. თუმცა ამ როლმა მძიმე კვალი დატოვა ჩემს ემოციურ განწყობაზე. დიდი იმედი მაქვს ზუსტად ვთქვი ამ როლით ის, რისი თქმაც მინდოდა. როგორი გამოვიდა ფილმი, ეს უკვე მაყურებელმა უნდა შეაფასოს.

გარდა ,,შინდისისა" თქვენ მონაწილეობთ სატელევიზიო სერიალში ,,ჩვენი ცოლის დაქალები", ხომ არ იყო სხვა როლებიც

სერიალი სულ სხვა სპეციფიკაა, ჩემი როლიც რადიკალურად განსხვავებული. კარგია როცა მსახიობს ეძლევა შესაძლებლობა შეასრულოს ერთმანეთისაგან გამსხვავებული როლები. მალე გამოვა ბექა სიხარულიძის ახალი ფილმი ,,სიცოცხლიდან სიცოცხლემდე, რომელშიც ვასრულებ მეორეხარისხოვან, მაგრამ ,,მსუყე" როლს. ძალიან საინტერესო სიუჟეტზეა აგებული და იმედია მაყურებელს მოეწონება. სხვა დეტალებზე ჯერ-ჯერობით ვერაფერს გეტყვით.

არაერთ სპექტაკლში მიიღეთ მონაწილეობა, გადაღებულ ხართ ფილმებში, თქვენი გადმოსახედიდან რა განსხვავებაა ფილმსა და სპექტაკლში თამაშს შორის, სად უფრო საინტერესოა და რატომ?

სხვაობა თეატრსა და კინოს შორის რა თქმა უნდა არის, მსახიობისათვის ორივე საინტერესოა. ჯობია ორივეში მოსინჯო საკუთარი თავი. ორივეს აქვს თავისი სპეციფიკა და მგონია რომ მსახიობი ორივეს დიდი სიამოვნებით უნდა აკეთებდეს. თუმცა ინდივიდუალურია ალბათ. კამერა არის ძალიან ულმობელი. მისი მოტყუება შეუძლებელია.... სცენა სხვა რამეა... მე ორივე ძალიან მომწონს და ორივეგან თავს ვგრძნობ კარგად. შეფასება ისევ მაყურებელზეა. ასე რომ მე ვისურვებდი ორივეგან ბევრ როლს.

როლი, რომლის შესრულებაზე ოცნებობ.

საოცნებო როლი მე არ მაქვს, არასოდეს მიფიქრია ამაზე. ყველა როლს ვიღებ როგორც ახალ გამოწვევას... ყველა როლში ბოლომდე ვიხარჯები, ჰოდა ყველა როლში შეგიძლია ჩადო ოცნება, ფერები, სათქმელი, ტკივილი სიყვარული... არა აქვს მნიშვნელობა როლი დიდია, პატარა, მთავარია მაყურებლამდე სწორად მიიტანო სათქმელი და ის ამას უთუოდ მიიღებს.

თქვენი სამომავლო გეგმები, ამჟამად თუ ხართ დაკავებული რომელიმე სპექტაკლში და როდის გიხილავთ მაყურებელი სცენაზე?

მსახიობის სამომავლო გეგმა დამოკიდებულია ვითარებაზე და რეჟისორზე... ახლა უკვე პანდემიაზეც .. სამწუხაროდ ისეთი ტემპით ვეღარ ვმუშაობთ... ველოდებით... ორ თეატრში ვარ, სენაკის და ფოთის. ახლახანს გავხდი ფოთის თეატრის დასის წევრი., რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამხატვრო ხელმძღვანელს რამაზ იოსელიანს, არაჩვეულებრივ მსახიობს, რომელმაც გამომიცხადა ნდობა და მომცა შესაძლებლობა ვითამაშო ფოთის თეატრის სცენაძე. გეგმები ბევრი გვაქვს, მაგრამ ჯერ გარკვევით ვერაფერზე ვისაუბრებ. მთავარია პანდემიამ გადაიაროს. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მაყურებელს, რომელმა თბილად მიიღო ფილმი ,,შინდისი". ძალიან ბევრი წერილი მივიღე სიყვარულით და ემოციით სავსე, რაც ძალიან მახარებს. მსახიობისთვის იმაზე დიდი ჯილდო არ არსებობს, რასაც მაყურებლის სიყვარული ქვია. ჩვენი საქმეა ჩვენს მიერ განსახიერებული როლებით მივცეთ მაყურებელს სააზროვნო საფიქრალი... დიდი იმედი მაქვს რომ ბევრი საინტერესო გამოწვევა ელოდება თეატრს და კინოს. მინდა ყველა მსახიობს ვუსურვო ბევრი სამუშაო...რაც შეიძლება ბევრი და კარგი მაყურებელი. ერთგული და კარგი შემფასებელი. ჩვენი პროფესია მართლაც რთულია მაგრამ საოცრად საინტერესო... სავსე ტკივილითა და სიხარულით.

ვუსურვებთ თამუნა აბშილავას მაყურებელთა დიდი სიყვარულს, წარმატებებს პირად ცხოვრებაში და შემოქმედებით აღმავლობას ხელოვნების დიდ გზაზე.

მაია გერგაია

ჩოგბურთი ასაკის გარეშე

მიმდინარე წლის 24 იანვარს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული ლიგის ტურნირი - მედიუმ ლიგა მაგიდის ჩოგბურთში(ჩოგბურთი ასაკის გარეშე). ტურნირში თბილისელ, კასპელ და ლაგოდეხელ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მწვრთნელ - მასწავლებელი კობა ჩხიკვაძე და სასპორტო სკოლის მოსწავლე საბა ხარბედია.

ტურნირი გამორჩეული იყო მძაფრი ორთაბრძოლებითა და მოულოდნელი შედეგებით.

ნახევარფინალში გამოცდილმა კობა ჩხიკვაძემ 5 პარტიის ჯამში სძლია გიორგი გოდერძიშვილს, მხოლოდ ფინალი დათმო და ვერცხლის მედალს დაჯერდა. მიუხედავად ამისა საქართველოს ეროვნული ლიგის მიერ გამოქვეყნებულ მედიუმ-ლიგის მონაწილეთა რეიტინგში 2021 წლის 25 იანვრის მდგომარეობით ის პირველ ადგილზეა.

კობა ჩხიკვაძემ დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სოხუმში. სპორტის, კერძოდ ფეხბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის სიყვარულმა მიიყვანა ოლიმპიური რეზერვების ოლიმპიური სასწავლებელი, რომელიც დაამთავრა 1989 წელს.

რუსეთში ცხოვრების პერიოდში ვარჯიშობდა ცნობილ ჩოგბურთელთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან ვლადიმერ სტოლნიკოვთან. 2000 წელს ჩამოვიდა სენაკში. საქართველოს სპორტის ფედერაციამ მიანიჭა მწვრთნელ-მასწავლებლის სერთიფიკატი. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო (თურქეთში, ბელორუსიაში, რუსეთში... ტურნირებში და არაერთხელ აუღია საპრიზო ადგილი. სენაკელ ლაშა ლომიასთან ერთად გახდა საქართველოს ჩემპიონი.

არანაკლებ წარმატებით მოღვაწეობს კობა ჩხიკვაძე, როგორც მწვრთნელი. მისი მოსწავლეები: გიორგი გაბუნია, გიგა ფარღალავა, საბა ხარბედია... წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა რანგის ტურნირებში.

როგორც თვითონ აღნიშნა: „მყავს საკმაოდ პერსპექტიული, ნიჭიერი გოგონები,

მართალია პანდემიამ შეგვიშალა ხელი, მაგრამ იმედი მაქვს რომ სერიოზულ წარმატებებს მიაღწევენ და ბევრჯერ გვასახელებენ თავიანთი მიღწევებით".

აღსანიშნავია ლაშა ლომიას შესანიშნავი მონაწილეობა 21 თებერვალს საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირში.

ლაშამ საუკეთესო მთელი ტურნირის განმავლობაში შესანიშნავი თამაში აჩვენა, ფინალში კი ძლია უძლიერეს ლევან პავლიაშვილს და გრანდ ფინალის ჩათვლაში 20 ქულაც მიითვალა.

ვულოცავთ კობა ჩხიკვაძესა და ლაშა ლომიას გამარჯვებას, ვუსურვებთ წარმატებებს.

მ. გერგაია

P.S. კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იზეიმა სპორტულმა საზოგადოებამ და მისმა გულშემატკივრებმა. ამ დღეებში, სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის აღზრდილმა ომიკო შენგელიამ(92 კგ. წ / კ. მწვრთნელ – მასწავლებელი ზურაბ დავითაია) პირველი ადგილი დაიკავა 20-21 თებერვალს, პოლონეთის ქალაქ პოზნანში ჩატარებულ ღია საერთაშორისო ტურნირში ბერძნული-რომაულ ჭიდაობაში და დასახელდა ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ.

ვულოცავთ სასახელო გამარჯვებას, არაერთხელ ესახელებინოს საქართველო და მშობლიური სენაკი.

8 თებერვალი-დავითობა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 8 თებერვალს წმინდა კეთილმორწმუნე მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში საზეიმო წირვა-ლოცვა ტარდება.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი 1089 წელს, 16 წლის ასაკში გამეფდა და 36 წელი მეფობდა.

წმინდა დავით აღმაშენებელმა დიდი თურქობის დროს გაქცეული და მიუვალ ადგილებს შეხიზნული ქართველები ძველ ნამოსახლარებზე დააბრუნა. მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელწოდებით არის ცნობილი. კრებამ ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი გააძლიერა და თავგადასულ ფეოდალთა და უღირს სასულიერო პირთა თავნებობა აღკვეთა. კრებამ ასევე ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში მართლმადიდებლური სარწმუნოების სასიცოცხლო მნიშვნელობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

"არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით, მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განცემულ ქმნილ ვართ, ვინაადგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ, მოწამე არს ჭეშმარიტება", - ნათქვამია კრების ძეგლისწერაში.

შემდგომ წმინდა მეფე საქართველოს გაერთიანებას შეუდგა და ქვეყანა თურქთაგან გაათავისუფლა. მუდმივმოქმედი ჯარის შესაქმნელად კი ყივჩაღეთიდან 40 ათასი მეომარი ჩამოიყვანა, რომელსაც 5 ათასი ქართველი მიემატა.

1121 წელს წმინდა მეფე დავითმა დავითმა დიდგორზე არაბთა 600 ათასიანი არმია დაამარცხა. 1122 წელს კი 400 წლიანი არაბთა ტყვეობის შემდეგ დედაქალაქი თბილისი სამშობლოს დაუბრუნა. წმინდა მეფე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართულ ეკლესია-მონასტრებსაც შეეწეოდა. მისი მეფობის დროს აშენდა გელათის მონასტერი და დაარსდა გელათის აკადემია, სადაც იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები მოღვაწეობდნენ.

წმინდა მეფე 53 წლის ასაკში 1125 წელს აღესრულა. მანამდე მან ჰიმნოგრაფიული ნაწარმოები "გალობანი სინანულისანი" დაწერა, სადაც მეფემ მის მიერ ნებსით და უნებლიეთ ჩადენილი ცოდვებისთვის უფალს შეწყალება სთხოვა.

ანდერძის თანახმად, დავით აღმაშენებელი გელათის მონასტრის შესასვლელშია დაკრძალული.

საქართველოში შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის გეგმა

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭოს 24 თებერვლის გადაწყვეტილებით, შეზღუდვების შემსუბუქება დაიწყო.

25 თებერვლიდან საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ამოქმედდება.ამასთან, მუნიციპალური ტრანსპორტი შაბათ-კვირასაც იმუშავებს.

25 თებერვლიდან სამთო კურორტებზე სასტუმროები გაიხსნება. სამთო კურორტებზე არსებული საბაგიროები კი 8 მარტიდან დაიწყებს ფუნქციონირებას.

1-ელი მარტიდან კერძო და საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღები მუშაობას განაახლებენ.

უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებს უფლება აქვთ კლინიკური, პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობები და გამოცდები 1 მარტიდან არადისტანციურ ფორმატში ჩაატარონ. სასწავლო პროცესის აუდიტორიებში განახლება კი 15 მარტიდან შეეძლებათ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას უმაღლესი სასწავლებლები დამოუკიდებლად მიიღებენ.

1 მარტიდან კონფერენციების და ტრენინგების ჩატარება, შესაბამისი პროტოკოლის დაცვით, დასაშვები ხდება. მუზეუმები და ბიბლიოთეკები საქმიანობას ასევე 1 მარტიდან განაახლებენ.

რესტორნების შიდა სივრცეები ფუნქციონირებას, შაბათ-კვირის გარდა, ბათუმში 1 მარტიდან, ხოლო დანარჩენ საქართველოში 8 მარტიდან განაახლებენ.

8 მარტიდან სავაჭრო მოლები და ბაზრობები შაბათ-კვირასაც იმუშავებენ.

15 მარტიდან ფუნქციონირებას სპორტული დარბაზები განაახლებენ. ასევე 15 მარტიდან განახლდება სასკოლო წრეები.

თეატრები, სპორტული კლუბები, პროფესიული ანსამბლები რეპეტიციების და ვარჯიშის განახლებას 15 მარტიდან შეძლებენ, ხოლო საქმიანობის სრულად აღდგენა (თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები) 1 აპრილიდან იგეგმება.

21 საათიდან დილის 5 საათამდე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა ძალაში რჩება.

,,სამოქალაქო მონიტორინგი მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებისათვის"

საქართველოს სასოფლო დარბაზი ევროპის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, სენაკის, ხაშურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში აგრძელებს პროექტის ,,სამოქალაქო მონიტორინგი მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებისათვის" განხორციელებას.

პროექტის ხელმძღვანელი ამირან გიგინეიშვილი

2021 წლის 22-23 თებერვალს ქალაქ სენაკში სასტუმრო ვერსალში ჩატარდა ტრენინგ კურსი "კომუნიკაციის, პრეზენტაციის, ფასილიტაციის უნარების ამაღლება და სოციოლოგიური კვლევების მენეჯმენტი". ტრენიგს ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის აიპ-ბის - "საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი", "სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება" და "სასპორტო გაერთიანების" თანამშრომლები.

ხვიჩა მაშავა,
პროექტის კოორდინატორი

ჩვენს საამაყო, გამოჩენილ მხატვარს, პროზაიკოსს, ესეისტს, მრავალწახნაგოვანი სულის ადამიანს, მრავალმხრივ შემოქმედს, ბატონ რეზო ადამიას ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. ახალი ფერწერული ტილოებისა და მხატვრული ნაწარმოებების შექმნას.

რედაქცია

შეხვედრა დიდ მწერალთან

(დასასრული)



წერის სტილის, ნეტარ ფერწერულ-მუსიკალური, პოეტური ნატიფი გემოვნება. აზრთ ჰარმონია მხატვარ ანრი მატისისეული, ხაზთ სვლა, ნარნარ დინება ფორმათ ყოველივესი. მოციქულთა ოთახთავივით საამოდ რომ იკითხება. რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ხომ განუმეორებელი, ლიტერატურულ სივრცეში მუსიკალურ-პროზაული უნაკლო პოემაა, გენიალურ პოეტთათვისაც თეთრი შურის აღმძვრელი. თხრობა-მოყოლისას ნებისმიერი სიტყვა-წინადადებით, ტანში ჟრუანტელის მომგვრელი სიახლე, აზრთ წყობით; ეგვიპტური ფრესკათ მოხატულობის შეპარვითი მრავალხაზოვანი განწყობილებაა, სიტყვათ-ფერ, აზრ-ფორმათ პროპორციები, მხოლოდ ავტორისეული სტილისებური მოქმედების ლიტერატურულ ჰარმონიად გვეცხადება... ქართული, ღრმად მოაზროვნე სიტყვები ინდივიდუალურად ისე მოძრაობენ, ბექა და ბეშქენ ოპიზრებისეულ ორნამენტებად მოიჭედებ-მოიხატებიან!...

ერთხელ პარიზში, ლუვრის ფერწერული სურათების დარბაზებიდან გამოვედი, ულამაზესი ეზოს ჩრდილოვან მხარეს მარმარილოს გრძელ სკამზე განვმარტოვდი, ფერწერული შედევრებისაგან აღფრთოვანებულს მინდოდა და ყოველმხრივ ვეცადე შედევრ ქმნილებები თეორიულად განმეხილა, ჩავწვდომოდი, რა ხდება შენში იმ წუთებში, ნაწარმოების უცხო შეგრძნება, სტილი და კულტურა ოსტატობისა როს შეგიპყრობს და ნეტარ უზომო სულიერ საიმოვნებას განგაცდევინებს.

უთუოდ მაგ შემთხვევაში, ღმერთი კეთილიგანმანათლებლად შემოვიდა შენში უშუალოდ შედევრიდან და უფრო მეტი რამე არ არსებობს?ახსნით?! ლამაზი თუ ნებისმიერი ქალის სიყვარულს? შესძლებთ, აის-დაისის მშვენიერების სულიერადაც დასურათებას? ან ან ბერძნულ სიახლე ღვთაებრივ აზრებს ბოლომდე ჩასწვდებით? ძნელიაო, იტყვიან. ამიტომაცაა ხელოვნების შედევრები უმეტესთათვის მიუწვდომელნი, რადგან ყველგან მათში იდუმალებათა უფაქიზესი ანგელოზისეული მრავალი უნატიფესი ნიუანსია დავანებული. დიდი ხელოვნება სამყაროს უსასრულობიდან გადმოედინება და უმნიშვნელო ნელი სვლით უკანვე მიცოცავს, კვლავ დიდი ნიჭია საჭირო მათი ჩვენს პლანეტაზე მუდმივად დატოვება-შენარჩუნებისა (დედამიწიდან დროთა ჟამში, ცოტა ხელოვნების შედევრებია გამქრალი?).

ამდაგვარი ფიქრ-მდგომარეობით ლუვრისეზოში ვზივარ და ვუტრიალებ შედევრთა მიუდგომელი გემოვნების ღვთიურ უხილაობას, ყოველმხრივ ვეცადე მრავალგზის თეორიულად განმეხილა და მიახლოებითაც ვერ მივედი იქამდის. აზრთ წარმოუდგენელი ღვთიური იდუმალებაა, არაამქვეყნიურ-მიწიერი შეგრძნებაა და უფრო შენში უფლისმიერობითი ურთულესი სივრცე მჟღავნდება.ყოველგვარი ამაღლებულობა ხომ ოპტიმისტური იქნება, თუ პესიმისტური ღვთიურ-ადამიანურ გრძნობათა მთლიანობაა ღრმად დადებითობისა იმდენად ღვთაებრივია სიტყვა-აზრთ ჯადოსახმული მაესტროს რომანები, მოთხრობები და ნოველები, რომ სრული წარმოდგენა გეუფლებათ. მთლიანობაში თითქოსდა მარადიული ზნეობრივ-კაცობრიული ჯანსაღი სულისმიერობითი ურღვევი გემოვნებითი ფორმაა;

„თავისი დროის ზნეობის გაუმჯობესება – აი მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ყოველი მწერალი, თუ არ სურს მხოლოდ „ხალხის გამრთობი იყოს“. – ბალზაკი. კონსტანტინე გამსახურდია, ჭეშმარიტი მსახურია ამ ზეგონებრივი აზრისა...

კვლავ ვეახლოთ უკეთილშობილეს დიასახლისს; დარბაზში სიმშვიდეა, ფიქრები, აზრები, ნაწარმოებთა გმირები, ყოველგვარი ზნეობისა, თითქოსდა შორეულში გავიდნენ. მგონი ხელოვნების ანგელოზიც დადუმდა და მწერალთ მოძღვარს ფიქრებით მისჩერებია. ეზოდან ოდნავ ჩიტების ხმა ისმის... უმალ წამოვდექი და ქალბატონ მირანდას დარბაზიდან გასვლის უფლება ვთხოვე, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, დაიღალა, ბატონო! დილით ადრე იწყებს ახალ რომანზე მუშაობას, ძალიან უნდა „თამარ“ დროულად დაამთავროს. შემდეგ სურათი ავიღე, „ეტიუდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და კეთილ დიასახლისს გულთბილი მადლიერებით დავემშვიდობე. წამით შევჩერდი და უმორჩილესად ვთხოვე, მაპატიოს კონსტანტინე ბატონმა, რადგან დაუმშვიდობებლად ვტოვებ თქვენს ღირსებას-მეთქი! არა უშავს ბატონო! ამჟამად მდგომარეობა შეიქმნა ასეთიო. მაგ წუთებში უკმარისობის გრძნობით დათრგუნულს, უჩვეულო შინაგანი უძლურობის სიმძიმე დამაწვა...

რამდენიმე წლის შემდგომ, მაშინდელ საკავშირო გამოფენაზე მხატვართა კავშირიდან წარადგინეს ჩემი კოლხური კოშკის ნახატი, ქალაქ მოსკოვში და შემფასებელმა კომისიამ ფონდებისთვის შეიძინა კიდევაც. დღეს ნამდვილად ვნანობ; ნეტავ ჩემთან ყოფილიყო ერის საამაყო კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის დროინდელი კოლხური კოშკის ამსახველი ფერწერული ტილო ან საჩუქრად გადამეცა ოჯახზე. თუმცა, ბატონი კომსტანტინეს შვილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახზე თავდასხმის დროს, საუბედუროდ, კოლხური კოშკი რომ გადაწვეს, შეუდარებელი მგზნებარე პატრიოტის მიმართ მტრულად განწყობილმა ქართველებმა, ჩემი ნახატიც ხომ პოლიტიზირებული ცეცხლის მსხვერპლი გახდებოდა.

„ხელოვნების ნაწარმოებში ღმერთი სთავაზობს და კაცი განაგებს“ – ანდრე ჟიდი.

ჩვენს პლანეტაზე გამხელილი ყოველგვარი შედევრის მთავარი შემოქმედი უფალია! ღვთისეული გენიის სული, ნიჭი და გონება დედამიწის აურაცხელ პიროვნებაზე უებარი მკურნალ-წამალია ან უმდიდრესი კარაბადინი და, განსაზღვრული დროის შემდგომ, აწმყოს მორჩილი სხეული ხდება: ხოლო მოსვლა, აწმყოდ შობილს ისევ რომ გადასცემს მომავალს – ვარსკვლავეთური ქმედებაა (ამ საკითხზე ზემოთ გესაუბრეთ, ოღონდ სხვა კუთხით) დაუსრულებელი. შედეგად, ნაწარმოებზე იტყვიან ულმობელ დროს გაუძლოო. მე კი ასე ვიტყოდი; მგრძნობიარე დრომ მარადიულს გვერდი აუარა და სვლა განაგრძო (თუმცა სტიქია და ადამიანები დროზე უმეტესად ანადგურებენ კოსმიურ ქმნილებებს...) ზოგჯერ ღიმილით მიფიქრია, უზომოდ და უსაშველოდ ქარიანი კუთხის სხვადასხვა დონის და თვისების ნაშიერნი, როგორ მშვიდობიან გარემოცვაში ვურთიერთობდით ლეგენდარული კოლხური კოშკის ღვთიურ სივრცეში. უთუოდ რომ შორეულ წარსულში, ახალგაზრდობისას, ჩემზე მეტად განუცდია დიდოსტატს აბაშის, უფრო სამეგრელოს, ქარის თავხედურ ფორიაქთ მოვლენები. ყოველივე რა საფიქრალია, მაგრამ დროთა ღია ნაპრალები ხომ აღუვსებელია მარადის. თქმა უნდა მაგას? უკამარისობის გრძნობა რომ შეგაწუხებს ბატონი კონსტანტინეს შემოქმედების შეგრძნება-განხილვისას უფრო ნიჭ-სიყვარულისა, ხოლო ნაწარმოების გემოვნების უკუწარმოსახვის გადაყვანისას მთავრდება უშედეგოდ; ამიტომ ამ ფორმის ნააზრევით ამდაგვარად მინდა დავამთავრო...

კონსტანტინე გამსახურდიას სიახლე აღუწერელ გემოვნებიანი სტილძარღვიანი პროზა, შემოქმედებითი სრულყოფილებაა ნებისმიერი ეპოქისა თავისი სხეულ-სულიერებით, სამშობლოს უმდიდრეს წარსულ, ყოფით და დღევანდელობის ქარცეცხლიანი ისტორიიდან იყო აღმოცენებული, რომლითაც ერის მომავლის სასიცოცხლო კვირტებს აღვივებდათავისი ქვეყნის პატრონ-პატრიოტი გახლდათ, რჩეულ ქართველ მეფეთა დონეზე და კოსმიურად აზროვნებდა, მეცნიერულ-ფილოსოფიური რწმენითი ჯანსაღი აღმოჩენებით, ნებისმიერ პატრიარქზე უმეტესად. თავდადებით ებრძოდა როგორც წარსულის, ასევე იდეურად აღჭურვილ თავისი დროის უძლიერეს დამპყრობლებს. მრავალჯერ თუ გადაურჩა გოლგოთა-გილიოტინას, ისე ვით უხორცო უშიშარი, დაუდგრომელ-მოუსვენარი და სუსხიანი ნიჭ-გენიიდან გამომდინარე, მაგრამ მოღალატე ქართველებთანაც მუდმივი დაპირისპირებით, პირადი ჯანმრთელობა დღითი დღე უუარესდებოდა. ჯალათებმა რამდენიმეჯერ, იოანე ნათლისმცემელივით, პატიმრობაშიც იყოლიეს. უთუოდ წმინდა მებრძოლი, ზეციდან ახლად მოვლენილი მორიგი შეწირულობა გახლდათ: სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ ზოგავდა უიშვიათეს უფლისმიერ ნიჭთ-მოწოდებას და ერის სამსხვერპლოზე პირწმინდად მიაბრძანებდა სამშობლოს სიცოცხლის მირონმომდინარე ხატთან, რომელიც ათასწლეულთა საშოდან გამოგვეცხადა. მთელი სიცოცხლე ნათელმიზნობრივად ჯვარზე გაკრულმა გმირულად გაატარა. კეთილი ზვარაკი ნელ-ნელა იცლებოდა წმინდა სისხლისაგან და ღია არტერია-კაპილარ-ძარღვებით კვებავდა მარად ტანჯულ შინაური თუ გარეული მტრისგან გადათელილ მამულს, რისგანაც მადლიერებით აღმოცენდნენ შეუპოვარი, კვლავ შეწირული გმირები.

ღია ზეცის გუმბათიდან უძველესი და ეძლეველი კოლხეთის მეფე აიეტ – მზის ღმერთის შვილი და ლეგენდა, გმირი მეფის, დავით აღმაშენებლის ღვთაებრივი ცრემლი, ვარსკვალვეთურ ენერგიად ეპკურებოდა განგებით რჩეულ შვილს...

შემოქმედად გაჩენა და მოღვაწეობა ტკივილ-სიამოვნებით მოსვლა სრულყოფილი. დიახ, ეგაა მთავარი ფორმა და არსი მიუწვდომელ შემოქმედ ზეციურობისა. სიკვდილითაც ხომ უმძიმესი ტანჯვით უსასრულო სიამოვნებაში გადასვლაა: სამყარო, კოსმოს-საოცრება – შენ ხარ, უფალო!

უდრეკი გენია, ხელოვნება, საბოლოოდ მედგრად დაეძგერა სიკვდილს და დაიმსხვრა მეტეორებად გარდასახული...

მწერლის უნიკალური, მზედქმნილი რომანები, მოთხრობები, ნოველები, ესეები თუ მრავალი მეცნიერულ-ფილოსოფიური წერილ-ნაწარმოებები სამუდამოდ დაობლდაო, ვიღაცეებმა დაიძახეს, მაგრამ არა! ერმა და მსოფლიომ მარადიულად იშვილეს. ნეტარ! კონსტანტინე ბატონის სისხლი კი, სამშობლოს მიწის ჟამეულ ნაპრალებში მტკიცედ ჩაკირდა...

რეზო ადამია

დასაწყისი: იხ.
გაზეთი „კოლხეთი“
2020 წელი№21-22,
2021 წელი №1-2

«თეთრი ღიმილი და თეთრი ფიქრი»

ვაჟა დანელიას წარდგენა არ სჭირდება ჩვენი გაზეთის მკითხველების წინაშე. მის ლექსებს, ჩანახატებს, მინიატურებს კარგად იცნობს და მაღალ შეფასებას აძლევს ლიტერატურული საზოგადოება.

ავტორი ლირიულ ლესებში აცოცხლებს კოლხური სოფლის ზამთრის სურათებს. „ბანზე წამოგორებულ ღამეს". მკითხველის გულს ერთგვარ სალბუნადაც ედება „ცივი ზამთრის მელოდიები".....

ვაჟა დანელია

ზამთარი სოფლად

როს მზეს აეწვის ღაწვი სუსხისგან,
ჩაიხუტებენ უმალ გორები,
ორღობეებში თეთრი ზმანება
ჩამოარიგებს სევდას ზმორებით.
ზეცა მოიხვევს ღრუბლებს თავშლებად,
ნათელი უკუნს დაემონება,
წამოგორდება ღამე ბანზე და
ბუხრებს გაიჩრის ყალიონებად.

●

ტელეგრაფის
მავთულებზე,
ვითარც სიმის
ჯადოქარი,
ქარი უკრავს
ცივი ზამთრის
უსახელო
მელოდიას.
ხეები
რძისფერ მიდამოს
რია-რიაში
ქარი უხედნი
კვიცივით მიქრის
და ჭალიკონში
ფერხულს უვლიან
თეთრი ღიმილი
და თეთრი ფიქრი.
შეშფოთებული
აწყდება ფანჯრებს
ტანგაძარცული
ალვა და თელა,
გამოწვდილი აქვთ
ჩემკენ ხელები
და ნირშეცვლილი
ითხოვენ შველას.

●

მთის ზურგებიდან
აიწყვიტეს
შლეგმა ქარებმა,
წამოუარეს
ღრუბლის ფარებს
წასარეკავად,
ცის დაზაფრული
გუმბათიდან
კურკანტელები
გადმოუყარეს
მინდვრად ჩიტებს
ასაკენკავად.

●

გრძნობა აბორგდა, ხელი,
ვნება ასკდება ტინებს,
სისხლი სდით კუპრისფერი
ფიქრებს, ფრთებდალეწილებს...
და ეფიცხება ბუხარს
ლექსი, ბავშვივით თოთო...
ზეცა შუბლს იხსნის მწუხარს,-
ალბათ, ამაღამ მოთოვს.

●

უკუნში ვეძებ
ჩხორიას,
თავად არ ვიცი,
რა მინდა,
ნეტავ,
რომელში იმალვი
იმ ათას ერთი
ღამიდან...
ამომზისგულდი
ოცნების
და სევდის
სემირამიდა.

(ჩხორია (მეგრ.) - სხივი)

●

დაგთოვეს წლებმა, დღეები გარბის,
ისევ ეული, როგორც სიშიშვლე,
მარტოსულობას შეავლებ მზერას,
ელდანაკრავი შიშს რომ იშიშვლებ...
ნაამბორალი ცახცახებს ბაგე,
ნაკვერჩხლისფერად ენთება ღაწვი,
და მოგონებებს - ფრთებდაჭრილ ძერას,
ტალახისფერი დუმილი აწვიმს.

●

ოროფაქუ ქიმმენტუ დო
წამეკიდა ტრფობა, გულში
გურს ირთაფუ კორიდა,
ბორიოობს კორიდა,
უდაჩხიროთ ვიფარფალუქ,
უკოცონოდ ვიფერფლები,
სო ვიფულა, სო ვიდა.
სად ვიმალვო, შორიდან...
უსქანეთი ვაგმარძინე.
მე ვერ გავძლებ უშენობით,
ჩხე გურს ჭიჭე მურგილე,
გულს ეფონე, ნაოხარს, -
სი რექ ჩქიმი შურიშ ორო,
სულის საჩრდილობელი და
ჩქიმ რინაში წყურგილე!
სიყვარულის წყარო ხარ!

●

ღამემ კარებთან
სული დალია,
ალიონს ვხვდები
ისევ ეული,
შენზე ფიქრებში
ძილს ვერ ვიკიდებ
ეგ მერამდენედ
ღამეთეული.
გზა გაუწალდავთ
ქარებს მთებისკენ,
მზე გადმომცქერის
საცრის თვალებით,
ურვით მადნება
გული საგულეს, -
ვითარც მარტის თოვლს
ნატერფალები.

ყურმოკრული ხუმარსიტყვა

გემოდაკარგული

ნაბახუსევზე გვიანგაღვიძებულმა კოჩიამ დედასთან სტუმრადმყოფ მეუღლეს დაურეკა.

-მგონი, კოვიდი მაქვს, - უთხრა დაღვრემილმა.

-საიდან?! - შეიცხადა ცოლმა. - ტესტი გაიკეთე?

-არა, წუხელ გვიან ქათმის ბარკალი გავსინჯე და გემო ვერ ჩავატანე.

-კი მაგრამ, როგორ? ქათამი ხომ მაცივარში უმად შევინახე!

-ჰო-ო, საიდან უნდა მცოდნოდა, ნასვამი მოვედი და... - თითქოს თავი იმართლა კოჩიამ და ყურმილი დაკიდა.

ხელმომწერთა საყურადღებოდ

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე". ხელმოწერის ღირებულება 1 წლით შეადგენს 12 ლარს.

ძვირფასო თანაქალაქელებო, ხელმოწერით თქვენ სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებთ მუნიციპალიტეტის მემატიანეს.

გაზეთი „კოლხეთი"

მილოცვა

გაბრიელ შონია 3 წლის გახდა. გაბრიელს უყვარს მულტფილმები, ზღაპრები, ინტერესით ათვალიერებს საბავშვო წიგნებს. აქვს კარგი ხმა და სმენა, არის მოაზროვნე და ყურადღებიანი.

გაბრიელს ძალიან უყვარს უმცროსი დაიკო ნიტა, თავის ენაზე ეტიტინება პატარა ნიტას. უყვარს მშობლები და მაია ბებო, რომელიც ყოველ დაბადების დღეზე ცდილობს სიურპრიზი მოუწყოს საყვარელ შვილიშვილს.

ვულოცავთ პატარა ვაჟკაცს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას და ლამაზი სურვილების ახდენას.

უფალი ფარავდეს მის სამომავლო გზებს!

„კოლხეთელები"

15 თებერვალი- მირქმა

მირქმა — ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაული. მირქმას დღესასწაულობენ 2 (15) თებერვალს.

იუდეველთა სჯულის მიხედვით ებრაელებს ევალებოდათ ყოველი პირველშობილი ღმერთისთვის შეეწირათ და დაბადებიდან მე-40 დღეს ტაძარში მიეყვანათ. ამის აღსასრულებლად ყრმა იესო ქრისტე მარიამმა და იოსებმა იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. ამ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა მოხუცი სვიმეონი, რომელსაც არ სწამდა ქალწულისგან მხსნელის შობის შესახებ. ამის გამო მას ეცნობა, რომ არ მოკვდებოდა, ვიდრე ქრისტეს არ იხილავდა. სვიმეონმა იხილა ქრისტე და ჩაიკრა გულში

იგი VI საუკუნემდე განსაკუთრებული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ უბედურებას მეორე დაერთო – შავი ჭირის ეპიდემია: ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ, და, როდესაც ამ დღეს ღამისთევის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს, ეკლესიამ განაჩინა, მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი უფრო საზეიმოდ აღენიშნათ.

ხ ს ო ვ ნ ა

მანონ ოთხოზორია-გეგენავა

სასახელოდ დატვირთული ბიოგრაფიის ქალბატონი იყავი მანონი დეიდა: ორი შვილი(ნინო და ემილი) –ღირსეული მოქალაქე და პროფესიონალი, სამი შვილიშვილი(თამუნა, ნინო, დათა), შვილთაშვილი(ლუკა) შენი ღვაწლით გაიზარდა. სიძე -ბორია ხომ შვილებში არ გამოგერჩეოდა, როგორც რძალი –მზია.

ეპოქისა და მორალურ-ეთიკური ნორმების ადეკვატური ღირებულებების აღიარება, ღვთისმოსაობა, ქართველი დედის სინდრომი და ზოგადქალური ფასეულობები, ქალური ხიბლი ამშვენებდა შენს პიროვნებას.

პატრიოტიზმი, მოქალაქეობრივი შეგნება, პოეზიასა და სიმღერასთან წილნაყარობა, ქართულ ხალხურ მუსიკალურ საკრავებთან სიახლოვე. კულინარიისა და ეზოების ყვავილებით მოხატვის ხელოვნება, დიზაინის (ტანსაცმლის მოდელის შექმნის) მაღალი გემოვნება, ლიდერობის პოტენციალი, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდი, შენი გონიერების, წიგნიერებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგი იყო.

ოჯახში ოთხი თაობა ცხოვრობდა, არ იყო ეს ადვილი, მაგრამ საოცარია: თუ რამეზე განსხვავებული აზრი შეიქმნებოდა, ბოლოს ყველანი(გულში მაინც) აღიარებდნენ, რომ ძალიან ხშირად შენ იყავი მართალი!..

შენმა საფიცარმა უფროსმა ქალიშვილმა ნახა შენი ბოლო ცრემლი(ალბათ, სინანულისსააქაოსთან გამოთხოვების გამო)...შენი ბოლო სიტყვა იყო: მიყვარხართ! მიყვარხართ!-ყველა გიყვარდა და ყველას ასწავლიდი სიყვარულს. გმადლობთ ყველაფრისათვის! უფალი გფარავდეს და შენი საყვარელი საქართველოს მინას ებარებოდე!

ნანი ყიფიანი

ნატო სანაია

კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე წაგვართვა ავბედითმა პანდემიამ, პედაგოგიურ საზოგადოებას გამოაკლდა მისი უანგარო და ერთგული მსახური ნატო სანაია.

თავისი ლამაზი სიცოცხლე პედაგოგიურ მოღვაწეობას მიუძღვნა ქალბატონმა ნატომ. წლების განმავლობაში მუშაობდა ზემო ფოცხოსა და ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლებში დირექტორად, გარდა ადმინისტრაციული სამუშაოსი ის ქართულ ენას ასწავლიდა ბავშვებს, ქართული ენის სიდიადეს აზიარებდა მათ და მასთან ერთად ასწავლიდა საქართველოს სიყვარულს. ბოლო წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის №11 პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობდა მასწავლებლად.

ჯერ კიდევ ახალგაზრდას, სამოცდაერთი წლის ასაკში ეწვია ულმობელი სიკვდილი, თუმცა მისთვის ასაკი რა იყო, სიცოცხლის ბოლომდე ახალგაზრდული ლამაზი, კეთილი დარჩა. მთელი არსებით ასხივებდა სიყვარულსა და სიკეთეს. როგორც ფიზიკურად იყო ლამაზი და სულიერადაც მშვენიერი იყო. გულისხმიერი, ტაქტიანი, მიმტევებელი, კარგი ადმინისტრატორი, ინიციატივიანი – ასეთი იყო კოლეგებსა და მოსწავლეებთან უთიერთობაში. მრავალი კარგი საქმე გაკეთებულა მისი ინიციატივით, რამდენი ახალგაზრდის გულში დაუთესია სიკეთე და დაუყენებია სწორ გზაზე. კიდევ რამდენი სიკეთის გაკეთება შეძლო, მაგრამ ვაგლახ, ავბედითად შეწყდა მისი ლამაზი სიცოცხლე.

ახალგაზრდობის აღზრდისას დათესილი სიკეთე ნათლად დაადგება ქალბატონ ნატოს იმ ქვეყნად. იმედია, იმქვეყნიდანაც დაგვეხმარება მისი ნათელი სული მოსწავლეებსა და კოლეგებს სიკეთის კეთებაში.

ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლის პედ.კოლექტივი

ღიმილიანი ნატო

სულ რამდენიმე დღეში გაზაფხული შემოვა, შენებრ ლამაზი და სხივიანი. ვერ შევგუებივართ იმ აზრს, რომ მოულოდნელად გაეცალე ამქვეყნიურ ცხოვრებას.

შენ ხომ მოძრაობისთვის, სიცოცხლისთვის, მეგობრობისთვის, სიკეთის კეთებისთვის, სიყვარულისთვის იყავი მოვლენილი ამ ქვეყნად. ყველას სწვდებოდა შენი აკურატული ხელი -- ავადმყოფ დედას, ოჯახს, შვილებს, ნათესავებს, მოკეთე-მოყვარეს. სიყვარულს არ იშურებდი თანადგომის საძიებლად მოსული ახლობლებისა და ნათესავებისათვის. ვარსკვლავივით ანათებდა შენი უზადო სილამაზე. ყველასაგან გამოირჩეოდი ჩაცმის კულტურით, კარგი მანერებით, ნატიფი გემოვნებით. ცხადია, ძალიან უჭირს შენს ყურადღებასა და მზრუნველობას ნაჩვევ დედას, მეუღლეს, ძმას, ნათესავებს უშენობა.

გვაპატიე, რომ ვერ გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე.

ჩვენს მეხსიერებაში მუდამ დარჩენი ღიმილიან, ხალისიან და სიცოცხლით სავსე ნატოდ. იყავ ნათელში!

ვლადიმერ, ნანა, მედეა ბაღათურიები

გული კირცახლია

ჩემო კარგო, კეთილო, დიდსულოვანო ... გული, სახელიც რა შესაფერისი შეურჩევია შენთვის მშობლებს. მართლაც რომ გულიანი ქალბატონი იყავი, გულადი, გულნათელი, გულგახსნილი, გულთბილი, გულმართალი... სულით მზიანი, უნაპიროდ სიყვარულიანი, ყველას მამიდა, მოკეთე, ყველას ჭირის გამზიარებელი და ტკივილზე სალბუნის დამდები. სადაც კი მიხვიდოდი, მზის სხივივით, სინათლე, სიხარული, სიყვარული შეგქონდა. თავს შემოავლებდი გარშემომყოფთ, დალოცავდი, დაარიგებდი, ასწავლიდი, მოეფერებოდი გულით, სულით. „სქანი გოლუაფირითი“ ესალმებოდი და ემშვიდობებოდი დიდს თუ პატარას. ალბათ საწუხარი შენც გქონდა, მაგრამ არასოდეს შეგიწუხებია არავინ. შენი დარდი არავისთვის მოგიხვევია თავს. პირიქით, ყოველთვის პოზიტიურს სხვათა გახალისება, გუნება-განწყობის გამოკეთება შეგეძლო. თუმცა ერთი ტკივილი ბავშვობიდან მოყოლილი, გულში იარად დაგრჩა. ამიტომ დიდი სამამულო ომიდან არდაბრუნებული მამის აჩრდილი დაგდევდა ყველგან.

საზოგადოების აქტიური წევრი იყავი, სიტყვის მთქმელი და საქმის გამკეთებელი. მონატრებაც შენებური იცოდი—ნაღდი, ხალასი. „მომენატრე და გამოგიარეთო“ -- იტყოდი როცა რედაქციის კარებს შემოაღებდი. „გოგოებო, ქათმის შეძლება კვერცხიაო“ დააყოლებდი და მორიდებით ტკბილეულს მოგვართმევდი. გაიხსენებდი აწ გარდაცვლილ რედაქციის თანამშრომლებს, „კოლხეთს“ გამოიწერდი, გაგვამხნევებდი, თან კედელზე გაკრულ შენი ლექსის ბწკარედს შეავლებდი ირიბად მზერას.

შემოქმედი ქალბატონი იყავი და მთელი ცხოვრება სიტყვებს ეფერებოდი, ლექსებიდანაც სიყვარულს ასხივებდი, ყვავილნარს აშენებდი, სადაც მოსახერხებელ ადგილს ნახავდი, რგავდი საკუთრი კორპუსის წინ, ეკლესიის ეზოში, გაზონებზე და ა.შ. მძივებით ხატებს ქარგავდი, რომლებსაც ხან ეკლესიას სწირავდი, ხან საყვარელ ადამიანებს. საკვირველია როდის ასწრებდი ამდენს, არადა ყველგან და ყველასთან რომ იყავი?

გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ტელეფონით მთავარანგელოზობა მომილოცე, მითხარი – ნინო ახლა ეკლესიაში მივდივარ, სადაც, როგორც ყოველთვის ორ სანთელს ვანთებ, -- ერთს ცოცხალთათვის და მეორეს მიცვალებულთათვის. ცოცხლებში ყველა ჩემს საყვარელ ადამიანს ვავედრებ ღმერთს. შენ ხომ იცი, რომ ერთი იმათთაგანი ხარ?!

რამდენად სულგრძელი უნდა იყო, რომ უფალთანაც საკუთარის წილ სხვათა დღეგრძელობაზე იზრუნო. შენ ამნაირი იყავი და სხვაგვარად არ შეგეძლო. ასეთი უსამანო, უხინჯო, მართალი სიყვარული იცოდი გული, რომლის არწყვა პინაზე არაფრით შემიძლია.

უკვე ორმოცი დღე გასულა, რაც იმიერში ხარ. დაგვაკლდი შენი სითბოთი, სიყვარულით, „სქანი გოლუაფირითი“ ... შენი განუმეორებელი კოლორიტული ბუნება, პოეზია, ნამუშევრები, მისხალ-მისხალ დარიგებული სიყვარული, მუდამ მომღიმარი ხატება... დავიწყების უფლებას არაფრით მოგვცემს. იძინე მშვიდად. ია და ვარდი შენს გზა სავალს.

ნინო სართანია

ვალერიან პაჭკორია



უდიდესი გულისტკივილი ახლავს ოჯახის თავკაცის გარდაცვალებას, არავის ძალუძს შეავსოს ის სიცარიელე, რომელსაც ახლობელი ადამიანის დანაკლისი ჰქვია.

ვალერიან პაჭკორია დაიბადა 1936 წელს. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

1967 წელს მუშაობა დაიწყო სენაკის მეოთხე საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. ამავე სკოლაში პარალელურად უძღვებოდა ისტორიის და გეოგრაფიის სწავლებას.

1988 წელს დაინიშნა ნატოჩაოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორად. პასუხისმგებლობით და უდიდესი რუდუნებით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. განსაკუთრებულ ტაქტს იჩენდა დამწყები პედაგოგებისადმი.

2000 წლიდან პედაგოგიური საქმიანობა განაგრძო კერძო სკოლა „ალბიონში”. აქტიურად მონაწილეობდა სკოლის სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში. მისმა მოსწავლეებმა არაერთხელ გაიმარჯვეს სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა და სხვადასხვა კონკურსებზე. თავადაც არაერთი სიგელი და ტიტული ჰქონდა წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის.

გამოირჩეოდა შემოქმედებითი უნარით. წერდა ლექსებს, ჩანახატებს, ბრძნულ შეგონებებს.

ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცმა შვილები ირმა და ცირა ქვეყნისათვის სასარგებლო მოქალაქეებად აღზარდა. იყო მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა.

სიცოცხლის ბოლო წლებში დედაქალაქში დამკვიდრდა ოჯახთან ერთად.

მისი ხსოვნა ჩაუმქრალ კელაპტრად ენთება ოჯახის წევრების გულში.

ოჯახი

გაზეთ „კოლხეთის” რედაქცია თანაუგრძნობს ნინო და ემილ გეგენავებს დედის

მანონ ოთხოზორია-გეგენავას

გარდაცვალების გამო

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499